ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01201401418**
თარიღი: **19/05/2020**
პინი: **8140**

ადრესატი: წმინდა მარიამი და წმინდა მარკოსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406209552
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მ.გახოკიძის ქ., N 49

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შემოსული თქვენი N10/0119330781-17 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა 14/06/2018წ. N44010227 ბრძანებით (N4108831 07.08.2018წ.) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (ს/კ N01.72.14.043.690) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

შეცვლილია გარე კედლების სისქე. შეცვლილია კოლონების და რიგელების გაბარიტები და რაოდენობა. ტიხრების და კარის ღიობების რაოდენობა, გაბარიტები და მდებარეობა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია კიბის უჯრედების გაბარიტი. დ-დ ღერძის გარეთ, 4-5 მონაკვეთში გაზრდილია კონსოლის გადმოსვლა. პირველ სართულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0,2 მ-ით. შემცირებულია მესამე და მეოთხე სართულის სიმაღლე თითოეული იმ-ით. მეოთხე სართულზე, დ-დ ღერძის გარეთ გაზრდილია კონსოლის გაბარიტი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი